N 179 28/06/2019

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 8

დ. ჩოხატაური **19 ივნისი, 2019 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

დავით გუდავაძე, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: დავით ბერძენიშვილი, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, ალექსანდრე შარაშიძე, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

თეა უჯმაჯურიძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

გოგი ბოლქვაძე- არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი.

ლელა მდინარაძე- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის პრივატიზების განყოფილების უფროსი.

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ქეთევან გიორგაძე- ა(ა)ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ხელმძღვანელი, სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი- ნინო დოლიძე; სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელი- მზია კვინტრაძე; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელი- შორენა კეკელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ.
2. 2019 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.
3. დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის #1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არსებული 1609.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.22.687) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე
4. ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.
5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ირაკლი ახობაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

2. 2019 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: გოგი ბოლქვაძე

3. დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის #1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არსებული 1609.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.22.687) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

4. ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან გიორგაძე

ვლადიმერ სიხარულიძე

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ხუნდაძე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

აზრი გამოთქვა: მანანა მინდაძემ აღნიშნა, თუ რამდენად შეძლებს რესტორნები, პიცერიები და საბანკეტო დარბაზები ამ თანხის გადახდას. კიდევ გაუთვალისწინებელი პრობლემა არ შეიქმნას. ხომ არ აჯობებს, ცოტა ნაკლები თანხით დავიწყოთ გადასახადის დაწესება და შემდეგ გავზარდოთ. ბექა გამდლიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იდეაში ყველა კვების ობიექტს თუ სხვა ობიექტს, უნდა ჰქონდეს თავისი ნაგვის ურნა და მოცულობის მიხედვით უნდა გადაიხადოს მოსაკრებლის თანხა. მარტივად რომ მივუდგეთ საკითხს, დავტოვოთ ეს გადასახადი, რაც დღეს წარმოდგენილი გვაქვს პროექტში. მუშაობის პროცესში გამოიკვეთება პრობლემები, რომელიც ეტაპობრივად დაიხვეწება.

მაია კუტუბიძემ მიმართა პროექტის ავტორს კითხვით ვიცით თუ არა, კომუნალური მომსახურება ,,სხივი“ რა თანხას ხარჯავს თვეში ამ მომსახურებისთვის.

თეა უჯმაჯურიძე- ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ რა თქმა უნდა, მაგრამ ამისთვის არსებობს ფორმულა, რის მიხედვითაც დაახლოებით შეგვიძლია ამის დაანგარიშება.

ირაკლი ახობაძემ შენიშნა, რომ საკრებულომ უნდა დაადგინოს იურიდიულ პირებზე 1 კუბურ მეტრ ნარჩენზე რამდენი უნდა იყოს გადასახადი. ეს არის ჩვენი, საკრებულოს წევრების გადასაწყვეტი. ეს რომ გავიგოთ, პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ გასულ წელს რა დაგვიჯდა 1 კბ. მეტრი ნარჩენის გატანა.

2019 წლის ბიუჯეტით, 35, 0 ათასი ლარი არის შემოსულობებში დაგეგმილი დასუფთავების მოსაკრებლის თანხა, რასაც მე მხარი არ დავუჭირე. უნდა გეფიქრათ, რომ ეს თანხა არ შემოვიდოდა. ანალოგიურია, 2017 წელსაც არ დავუჭურე მხარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, იმიტომ, რომ დოკუმენტი არ იყო შესაბამისობაში კანონთან. შესაბამისად, არც წარმოდგენილ დადგენილების პროექტს ვუჭერ მხარს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 23

წინააღმდეგი _ 2

(მ. კუტუბიძე, ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ.

II საკითხი: 2019 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მოისმინეს:

2019 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: გოგი ბოლქვაძე

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, დავით გუდავაძემ, ბექა გამდლიშვილმა.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნა მიღებული 2019 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

III საკითხი: დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის #1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არსებული 1609.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.22.687) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მოისმინეს:

დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის #1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არსებული 1609.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.22.687) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოჩა ჯიქიამ, დავით გუდავაძემ, მანანა მინდაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის #1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არსებული 1609.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.22.687) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

IV საკითხი: ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოისმინეს:

ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან გიორგაძე

ვლადიმერ სიხარულიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია კუტუბიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ ახალი საშტატო ნუსხაა დასამტკიცებელი. იქ არის ისეთი შტატები, რომელიც ერთ ორგანიზაციას ყავს და დანარჩენ ორს არა და პირიქით. რით აიხსნება ეს.

ლია ჩიგოგიძემ აღნიშნა, რომ თქვენ როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თვლით თუ არა, რომ სამუსიკო სკოლაში საჭიროა საშტატო ნუსხაში მედდის გათვალისწინება, როცა სამხატვრო სკოლასაც ყავს და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლსაც.

ქეთევან გიორგაძე- ზოგადად, აუცილებელია, მაგრამ სამუსიკო სკოლას ამჟამად მედდა არ ყავს.

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიამ შეისწავლა რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდგომ ფინანსურ მდგომარეობა. გეკითხებით, რეორგანიზაცია ჩატარებულად ჩაითვლება თუ არა იმ ფონზე, როცა გადახარჯვა მივიღეთ 150,0 ათასი ლარი, შტატების გაზრდის კვალობაზე. ასევე, აღნიშნეთ, რომ ამ ორგანიზაციაში უნდა გაიზარდოს ხელფასები.

ვლადიმერ სიხარულიძე- განვიხილეთ ეს საკითხები, რაც შეეხება რეორგანიზაციას, ვაღიარებ, რომ თანხების ეკონომია არ მომხდარა. რაც შეეხება შტატებს, ეს მარტო ამ ა(ა)ი.პ.-ის პრობლემა არ არის. წინა ა(ა)ი.პ.-ების საშტატო ნუსხასაც გავეცანით და მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა იქნას ასახული და გათვალისწინებული.

<u>მიღებულია</u> **<u>განკარგულება:</u>** ცნობად იქნა მიღებული ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

V საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის მე-9 მუხლი- ,,მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასისიკაცია“, საჭიროებს გასწორებას. ფინანსური და ფისკალური საქმიანობის მუხლში გვიწერია 50, 0 ათასი ლარი სარეზერვო ფონდიდან. ამ მუხლში უნდა გატარდეს აუდიტორული მომსახურეობა. ანუ 50,0 ათას ლარზე მეტია. ბიუჯეტის მე-9 მუხლი მთლიანად არის გასასწორებელი.

მაია გოგოლაძე- ფინანსური და ფისკალური საქმიანობის მუხლში აუდიტორიული მომსახურეობა არ შედის, იგი სხვა მუხლშია გაწერილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ხუნდაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის განწერას თუ ვერ გავეცანით, ისე შეფასებას ვერ გავაკეთებთ ბიუჯეტის 6 თვის ანგარიშის. სასურველი იქნებოდა, სანამ ბიუჯეტის 6 თვის ანგარიში შემოვიდოდა, მანამდე განგვეხილა ბუჯეტის განწერა, რასაც საკრებულოს რეგლამენტიც ითვალისწინებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა